ხაშურის მოამბე

№24(397) 28 ივნისი, ოთხშაბათი, 2023 წელი

„ქართული ოცნების“პარტიული კონფერენცია ხაშურში

გასულ კვირას, ხაშურში, სამუსიკო სკოლის დარბაზში, გაიმართა „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტია „ქართული

ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ და პარტიის გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ,რომლებმაც თავის სიტყვაში ვრცლად ისაუბრეს პარტიის მიმდინარე ამოცანებზე და ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე.

კონფერენციაზე დელეგატებმა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეთ ასეთი ნდობისათვის და აღნიშნა,რომ ძალებს არ დაიშურებს,რომ ორგანიზაცია უფრო გაძლიერდეს და ღირსეულად შეხვდეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს.

კონფერენციაზე,დელეგატების მიერ,არჩეული იქნენ აგრეთვე „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ბიუროს წევრები: ნოდარ ლომიძე (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე),ალექსანდრე ნოზაძე (საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე), დავით მეტრეველი (საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე), მაყვალა მაისურაძე (საკრებულოს წევრი), ალექსანდრე სიმონიშვილი (საკრებულოს წევრი), დავით გელაშვილი (საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე), ივანე ციცვიძე (35-ე საარჩევნო ოლქის მე-3 ზონის უფროსი „ქართული ოცნებიდან“), ლექსო ქურდაძე (35-ე საარჩევნო ოლქის მე-3 ზონის მე-9 უბნის უფროსი „ქართული ოცნებიდან“), გიორგი მაჭარაშვილი („ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ცოცხნარასა და ქემფერში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

„სოფელ ცოცხნარის გზის პროექტი გარდამავალია, სამუშაოები მიმდინარეობს როგორც სოფელ ცოცხნარაში, ასევე, ნარვანი-ქემფერის მიმართულებით, სამუშაოების ფარგლებში იგება ასფალტის საფარი, ეწყობა მილ-ხიდები და სანიაღვრეები. დაიდგმება და დაიხაზება საგზაო ნიშნები. სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ზვიად ქურდაძის განმარტებით, ცოცხნარა-ქემფრის პროექტს, რომლის ღირებულებაც 4 599 999 ლარს შეადგენს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

გივი მათიაშვილი : ექიმისათვის ყველაზე დიდი საჩუქარი პაციენტის ნდობა და მადლობაა

წარმოიდგინეთ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც მთელი ცხოვრება აქტიურ ცხოვრებას ეწევა, უყვარს ფეხით სიარული, სეირნობა, მოგზაურობა და უცებ გაუჩნდება პრობლემა სახსრებში, სიმძიმე ფეხებში, მოძრაობის შეზღუდვა და ცუდი გუნება - განწყობა... მართლაც საშინელებაა. ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია - ექიმთან ვიზიტი.

თბილისში არც თუ ისე მცირეა ნიჭიერი ექიმები, მაგრამ ამჯერად მინდა წარმოგიდგინოთ ადამიანი, რომელიც უფრო ცნობილი მოსკოვში იყო, სადც ის ლამის მეოთხედი საუკუნე მუშაობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ვიდრე თბილისში დაბრუნდებოდა რამდენიმე ხნის უკან და დაიწყო მუშაობა „ევექსში“ და „მედკაპიტალში“. მაშ ასე: კონსულტანტ ექიმი - ქირურგ -ტრავმატოლოგ-ორთოპედი გივი მათიაშვილი.



გთხოვთ არ დამადანაშაულოთ სუბიექტურობაში ან რეკლამირებაში იმის გამო, რომ მან დამიბრუნა სიცოცხლის ხალისი და მომცა ნორმალური ჯანმრთელი ადამიანის ცხოვრება.

გივი ნამდვილად იმსახურებს ქებას, დიდ პატივისცემას და მადლობას, რასაც მოსკოვის მრავალრიცხოვანი პაციენტების და თბილისელი პაციენტების გამოხმაურებები ამტკიცებენ:

„გივი მათიაშვილი - უბრალოდ, ფანტასტიური ექიმი. ის ყოველთვის მზად არის პაციენტს დაეხმაროს. მას ოქროს ხელები აქვს, ამასთან ერთად ის ძალიან კეთილი, ყურადღებიანი და გულისხმიერია - მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მას შეიძლება თვალდახუჭული ანდო შენი სიცოცხლე“. (მოსკოველი პაციენტი).

ცნობილი ქირურგი, ბავშვთა „მსოფლიო ექიმი“ (ასეთი წოდება მიანიჭეს მას), ბავშვთა გადაუდებელი დახმარების, ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის პრეზიდენტი ლეონიდე როშალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „თუ ექიმი ვერ გაიგებს ბავშვის ტკივილს, ვერ იგრძნობს ბავშვის მშობლების მღელვარებას, მისი ადგილი ამ პროფესიაში არ არის“. არა მარტო ბავშვის ტკივილი, არამედ ნებისმიერი ავადმყოფის ტკივილი ჭეშმარიტი ექიმის გულში გამოხმაურებას უნდა პოულობდეს. მიუხედავად ჩემი გივისთან ხანმოკლე ურთიერთობისა, როგორც პაციენტი ექიმთან, შემექმნა შთაბეჭდილება და რწმენა, რომ გივიმ ღირსეულად და მყარად დაიმკვიდრა ადგილი საუკეთესო ექიმთა შორის.

- შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ რამდენ დაზარალებულს მოტეხილობით, ამოვარდნილობით, ღრძობით, თავგატეხილს, სახსრებ დაზიანებულს გაუვლია თქვენს ხელში ამდენი წლის განმავლობაში?

- არ ვიცი, არ დამითვლია, ალბათ, 15-20 ათასს, ან უფრო მეტს, - მპასუხობს გივი.

ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის ტკივილი, განსაკუთრებით ბავშვის, მის გულში თითო ნაწიბურს ტოვებდა.

თბილისი - მოსკოვი - თბილისი - ასეთმა მარშუტმა მისი მოღვაწეობის ბედი

(დასასრული II გვერდზე)

გივი მათიაშვილი : ექიმისათვის ყველაზე დიდი საჩუქარი პაციენტის ნდობა და მადლობაა

(დასასრული)

განსაზღვრა.

სურამელმა ბიჭმა 1993 წელს დაამთავრა სკოლა ოქროს მედალზე, 2000 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი

- წითელ დიპლომზე და გაემგზავრა მოსკოვში ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. მისი დამთავრების შემდეგ, დატოვეს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რის მიზეზიც იყო ბრწყინვალე დახასიათება და ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციები, რამაც გაამყარა მისი მდგომარეობა და საფუძველი ჩაუყარა მის, როგორც ბრწყინვალე ექიმის ავტორიტეტს.

გივი იხსენებს პირველ გამოცდას: მოიყვანეს ხანდაზმული მამაკაცი, ფეხის მძიმე, რთული მოტეხილობებით, ძვლების ძლიერი ცდომით, საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია, რამაც ბრწყინვალედ ჩაიარა. კიდევ კარგი დროულად მოიყვანეს. მოხერხდა ფეხის შენარჩუნებაო (გივის მოკრძალებულობა, თავმდაბლობა).

პირველი, მეხუთე, მეოცე - წარმატებული ოპერაცია, ათასობით კვლევები და ექიმზე იმედით შემყურე ასეულობით თვალები. ტკივილს და უნუგეშობას ცვლიდა სიმშვიდე და სიხარული. გივი პარალელურად მუშაობდა ქ. მოსკოვის საქალაქო ცენტრალურ კლინიკაში ქირურგ - ტრავმატოლოგად და ბუნებრივად მისი პაციენტების ასაკი მერყეობდა 1 წლიდან და ზევით. ახსნაც არ უნდა, რომ მომტირალი, მოუსვენარი ბავშვის მკურნალობა იყო რთულია, რომლის მშვიდად გაჩერება ძნელია, ვიდრე ხანდაზმულის - უფრო სერიოზული და რთული დაავადებებით.

„მე ბავშვთა ტრავმატოლოგ ორთოპედიც ვარ, ამიტომ შეჩვეული ვარ ბავშვთა ჭირვეულობას, ყვირილს, ტირილს. ვიცი როგორ დავამშვიდო, ერთს მოეფერები, მეორეს - გააცინებ, მესამეს ცოტა გაუბრაზდები. თითოეულს თავისებურად მიუდგები და მაშინ არავითარი პრობლემა აღარ გექნება.“

- ვინ იქონია გავლენა ტრავმატოლოგ - ორთოპედის პროფესიის არჩევანი რომ გაგეკეთებინათ?

- ჩემმა მშობლებმა. მამა ხაშურის რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა - 33 წლის დაიღუპა ავტოკატასტროფაში. ვამაყობ იმით, რომ ხაშურის რაიონული საავადმყოფო მერაბ მათიაშვილის სახელობისაა. პროფესიით დედაც, ლია მათიაშვილი ექიმია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, პედიატრია. დედამ დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია.

ტრავმატოლოგობა რომ ავირჩიე, ჩემი ლექტორის ნათელა ხუციშვილის დამსახურებაა, ის ისე დიდი ცოდნით, საინტერესოდ, თავისებური აზარტით კითხულობდა ლექციებს, რომ დამაავადმყოფა „ვირუსით“, რომლისგანაც ვერ განვიკურნე.

ასეთი „ვირუსით“ დაავადებულ ექიმთან სიამოვნებით ჩავეწერებოდით მიღებაზე, მაშინაც კი, როცა მუხლის ტკივილი აღარ შეგაწუხებს. სიმშვიდეს, კეთილმოსურნეობას პაციენტების მიმართ ხომ დიდი მიზიდულობის ძალა აქვს.

დილაადრიან გივისთან ჩემი პირველი ვიზიტის დროს, მის კაბინეტთან 5-6 კაცი იდგა რიგში, მეორე ვიზიტის დროს - 10, მესამე ვიზიტის დროს მასთან მივედი არა როგორც პაციენტი, არამედ ჟურნალისტი ინტერვიუსათვის. და როცა მოვითხოვე ურიგოდ შესვლა, ათეულობით რიგში მდგომმა პაციენტმა მიპასუხა უკმაყოფილოდ სამართლიანად: პირად საკითხებზე ვერ გაგიშვებთ, სამუშაო საათების შემდეგ მოდით, დილიდან რიგში ვართო და მთელი კვირა ველოდებითო. იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი და ეს მასალა გაზეთის ფურცლებზე რომ მოხვედრილიყო, რამდენიმე რამდენიმე საათი რიგში ყოფნა მომიწია. მაგრამ ეს სასარგებლო გამოდგა. როგში მყოფი პაციენტების აზრი გავიგე: „ძალიან კარგი, უმაგრესი ექიმია“, „ჩემმა დაქალმა გამომიშვა, თვითონ მკურნალობდა გივისთან და აღფრთოვანებულია“, „მთელი ცხოვრება გივიზე მლოცველი და კმაყოფილი ვიქნები“ და ა.შ.

მოვახერხე და რამდენიმე წუთით გივის ასისტენტ მზიას გავესაუბრე: ჯერ სულ 4 თვეა ჩვენთან რაც მუშაობს და უკვე თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე, ყურადღებიანმა, ნიჭიერმა, კეთილშობილმა ექიმმა. თავისი თბილი დამოკიდებულებით ავადმყოფების მიმართ ამ მოკლე დროში მოიპოვა ნდობა და სიყვარული.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის საუკეთესო სპეციალისტია, ნამდვილი „ოქროსხელება“ პროფესიონალი, ასე შეარქვეს მადლიერმა პაციენტებმა. ჩვენს

კლინიკაში ის კონსულტაციებს კვირაში ორჯერ ატარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე ადვილად შევიდა კონტაქტში კოლექტივთან და დიდი პატივისცემა დაიმსახურა

ამის გაგების და დანახვის შემდეგ უკვე უაზრო იყო მეკითხა გამოცვლიდა თუ არა პროფესიას უფრო სარფიან სამსახურზე.

„ეს აზრი ჩემთვის იმდენად აბსურდული და მიუღებელია, რომ ამაზე არასოდეს მიფიქრია“.

- მოსკოვში რომ ისევ მიგიწვიონ, არ იფიქრებდით დაბრუნებაზე?

- არა, უკვე რამდენჯერმე დამირეკეს და მთხოვეს დაბრუნება, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მყარია. მე უკან აღარ დავბრუნდები, მიუხედავად საუკეთესო პირობების, პატივისცემის, ავტორიტეტის, კეთილგანწყობის ჩემს მიმართ და არა მარტო ჩემს, არამედ ყველა ქართველი ექიმის მიმართ.

- თქვენი დაბრუნების მიზეზი?

- პირველ რიგში, პოლიტიკური სიტუაცია, ჩემი დედა და ჩემი სამშობლოს დიდი სიყვარული და მუდმივი ნოსტალგია.

როდესაც პირველად გამიჩნდა ფეხების პრობლემა, მკურნალმა ექიმმა მირჩია მიმემართა, პირველ რიგში, ტრავმატოლოგისათვის, შემდეგ ორთოპედისათვის. გულახდილად რომ გითხრათ, სხვაობა მათ შორის ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ უცოდინარობის გამომჟღავნება მედიცინის ამ სფეროში არ გამოვამჟღავნე და გავჩუმდი, გივის კი გავრისკე და ვკითხე.

„ტრავმატოლოგი ორგანოების დაზიანების მიზეზებს ეძებს, მკურნალობს მოტეხილობებს, ნაღრძობს, დაჟეჟილობას, სხვადასხვანაირ ტრამვებს და ექსტერნულ შემთხვევებს, რომლებიც პაციენტის სიცოცხლისათვის საშიშია.

ორთოპედის სფერო - თანდაყოლილი ან შეძენილი პათოლოგიებია, საყრდენ - მამოძრავებელი აპარატის, ძვლების დეფორმაცია, სახსრების ცვლილებები, ძვალ-კუნთოვანი სისტემის სიმსივნეები და ა.შ.“

მოკლედ და გასაგებად ამიხსნა მან.

გასაგებია, რომ მრავალწლიანი მოღვაწეობის პერიოდში გივი არაერთხელ შეეჯახა სიძნელეებს, უხაროდა წარმატებული ოპერაციები, ტკბებოდა გამარჯვებებით ავადმყოფობებზე და, რა თქმა უნდა, კურიოზებიც ბევრი იყო: მაგრამ ერთი შემთხვევა სამუდამოდ დაამახსოვრდა, თუმცა მისი კურიოზობა ცოტა სადაოა, უფრო საშინელებათა ფილმს ჰგავს.

„კვირა დღეა - მე მორიგე ექიმი ვარ, მიმღებში შემოდის დედა 6 წლის ბავშვით, გაფითრებული, შეშინებული ტირის, ბავშვს თავი აქვს გახეთქილი, დავიწყე დამუშავება ჭრილობის, და უცებ ვხედავ ასისტენტის შიშით გაფართოებულ თვალებს და მესმის მისი ყვირილი, დედას გული წაუვიდა, დაეცა და დაცემის დროს თავი კედელს ისე მიარტყა, რომ სისხლმა შადრევანივით დაიწყო დენა, და რაც შემდეგ ხდება იმის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ბავშვს სისხლი მოსდის ბოლომდე გაუკერავი ჭრილობიდან, დედა თავიდა ბოლომდე სისხლში ცურავს, ბავშვი ყვირის, ტირის, მე ამ დროს ვფიქრობ - რა გავაკეთო? პირველ რიგში, ბავშვს ვამშვიდებ, არ გაინძრეს, არ იმოძრაოს, ექთანი ისეა დაბნეული, დახმარება არ შეუძლია, იმ დღს მიმღებში ნახევარი სიცოცხლე დავტოვე, მარცხნივ - ბავშვი, მარჯვნივ - დედა და მოსაბრუნებელი მედდა. ღმერთს მადლობა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. მეორე დღს ორივე გაბრწყინებული სახით დამხვდნენ პალატაში“... გივის ეღიმება და ამ ღიმილმა სერიოზული, დინჯი ექიმი კეთილ, სიცოცხლით სავსე უბრალო ადამიანად აქცია. გაქრა ჩვენს შორის ერთგვარი დაძაბულობა, მორიდება. დისტანცია ექიმსა და პაციენტს შორის და ურთიერთობა ადვილი გახდა.

იმედი მაქვს, გასაგები ხდება რატომ გამიჩნდა სურვილი დამეწერა გივი მათიაშვილზე, რომელსაც აქვს არა მარტო ოქროს ხელები, არამედ ოქროს გული, რომელიც იზიდავს როგორც დიდებს, ისე მოხუცებს და რატომ არის მის კაბინეტთან ყოველდღიურად მზარდი რიგი და უამრავი კმაყოფი პაციენტი.

თუ ადამიანში შერწყმულია ორი საუკეთესო თვისება: მაღალი პროფესიონალიზმი და კეთილშობილება - შემდეგ ყველაფერი გასაგებია. ის დიდი პიროვნებაა! და რა შეიძლება ექიმმა თავისთვის ჯილდოდ ისურვოს? პაციენტის ნდობა, მადლიერება და მათ თვალებში იმედის ნაპერწკალი!

დოდო ახვლედიანი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23)

და წარმოვიდენ მუნითგან, და ჩამოვლეს კახეთი, და იგიცა აღაოხრეს და დაწვეს და წარვიდეს“.

იგივე ბერი ეგნატაშვილი მტრის წინააღმდეგ ქართველთა თავდადებული ბრძოლის არაერთ სურათს გვიხატავს: ,,და ვითარცა მოიწია ლანგ-თემურ საქართველოსა შიგან, დახუდა მეფე ბაგრატ და ქართველნიცა შეყრილნი. და მიეტევნეს ერთმანერთსა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხვი და უფროსად თათარნი ორი ზომისა მოისრა ომსა მას შინა“.

მაგრამ მტრის სიმრავლე თავისას აკეთებდა. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: „და სპათა სიმრავლისაგან თათართასა მძლე ექმნეს თათარნი, მიიქცეს და ივლტოდეს ქართველნი სიმაგრეთა და ხიზანთა თვისთა თანა, რომელიმე შეიპყრეს, დახოცეს და ამოსწყვიტეს, და ყოველივე მოსრეს პირითა მახვილისათა“.

ქართველებმა „წინადვე“ იცოდნენ რა თემურ-ლენგის მოსვლა, „ყოველივე შელტოლვილ იყვნენ მთასა კავკასიისა“. ამიტომ იყო, რომ შეხიზნულებს „ვერა დაახელეს.“

სამაგიეროდ მტერი „შემოვიდეს საქართველოში, მოითარეშეს, მოააოხრეს და დაწვეს წმიდანი ეკლესიანი და აღაოხრეს ქუეყნები“. ეს გრძელდებოდა 16 წლის მანძილზე.

პროფ. კ. ტაბატაძემ, ქართული და უცხოური წყაროების საფუძველზე, შეძლო გაეცოცხლებია თემურ-ლენგის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის პერიპეტიები. ხაშურის რეგიონში, მკვლევარის თანახმად, თემურის ურდოების შემოსვლა თავდაპირველი ლაშქრობების დროს არ ჩანს. ასეთს ადგილი მხოლოდ მეექვსე და მერვე შემოსევების დროს აქვს. ჩვენც ამ შემოსევებზე და ამ შემოსევების შედეგებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

1400 წელს, მეექვსე შემოსევის დროს, თემურ-ლენგმა საომარი მოქმედება ქვემო ქართლიდან დაიწყო და ქვეყნის ნგრევა-აოხრებით მუხრანის ველამდა მოვიდა. აქედან გორში მივიდნენ და აქ „უაღრესად მკვიდრი და საგულდაგულოდ გამაგრებული ციხე-სიმაგრე“ ერთ დღეში აიღეს. ჩვეულებრივად,სანამ გორში მივიდოდა თემური,ნეზამ ად-დინ შამის ცნობით, მისმა „ლაშქარმა ურიცხვი ქონება იშოვნა დავლად, ურწმუნოთა შენობები დასწვეს, ყანები გაანადგურეს და ეკლესიები კი დააქციეს“(კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე,)

თემური გიორგი VIII - ეს ფეხდაფეხ მისდევდა,რაღაც საოცარი წყურვილი კლავდა ხელში ჩაეგდო საქართველოს მეფე და დაემთავრებინა ქვეყნის დაპყრობა. გორის დაკავების შემდეგ, თემური ქართლის ველზე დაბანაკდა. თითქმის ყველა მიმართულებით გაუშვა დიდი და მცირე მარბიელი ლაშქარი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ არამარტო ქვეყნის მოოხრება, არამედ გიორგი მეფის ადგილ-სამყოფელის გაგებაც.

თემურ-ლენგისთვის ცნობილი გახდა, რომ მეფე ძამის ხეობაში, ასევე ძამის სახელით ცნობილ ციხე-სიმაგრეში, აფარებდა თავს. აქ ერთ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. პროფ. კ. ტაბატაძე ძამის ციხესა და მძოვრეთის ციხეს ერთსადაიმავე ციხედ მიიჩნევს. ერთ-ერთ გვიანდელ საბუთში, რომელიც წარმოადგენს მერალიბეგ ციციშვილის არზას ერკლე II - ისადმი სამართლის მიცემაზე, კარგად ჩანს, რომ ძამის ციხე სხვაა და მძოვრეთის ციხე სხვა(იხ. ქსე, VII, გვ.50). ეს უკანასკნელი მდინარე ძამის ხეობის შუაში მდებარეობს. რაც შეეხება ძამის ციხეს, იგი ხეობის სათავეშია ნასოფლარ ძამასთან. ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, დამყრობლებმა სოფელ სამწევრისთან გადალახეს მდინარე მტკვარი და ძამის ხეობას შეესიენ. დიდი ბრძოლა გაიმართა ძამის ციხესთან. თემურის ისტორიკოსები საგანგებოდ ჩერდებიან ძამის ციხეზე და იძლევიან მის დახასიათებას. ნეზამ ად-დინი მიუთითებს, რომ ციხე ისეთი მაღალი და მიუვალი იყო, რომ ჯერ არავის სმენია ვინმეს ოდესმე ძალით აეღოსო. მეორე ისტორიკოსი შარაფ ად-დინი თავის მხრივ უმატებს: „ღრუბელი რომ ფუძეს მიაღწევდა ციხეს შუბლზე ოფლი სდიოდა და ქვეყნად მბორგავი ქარბორბალა მისი სუნთქვისაგან წარმოიშობოდაო“.

ციხე, რომ კარგად ყოფილა გამაგრებული იქიდანაც ჩანს, რომ ნეზამ ად-დინ შამის ცნობით თემურმა მის აღებას ხუთი, ხოლო შარაფ ად-დინისა და სხვა ისტორიკოსების ცნობით შვიდი დღე მოანდომა. ამდენივე დღე მოანდომა ბირთვისის ციხის აღებასაც. ეს მაშინ როცა გორის ციხე ერთ დღეში აიღო. ძამისა და ბირთვისის ციხეების აღებას ამდენი დრო რომ მოანდომა თემურმა, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა მის ლაშქრობებში.

ციხის მცველთა ერთი ნაწილი, რომელიც ცოცხალი გადარჩა, დამპყრობლებმა შეიპყრეს და ადგილზევე დახოცეს. მათ ფეხდაფეხ შემოიარეს ძამის ხეობის სანახები და ბანაკში მოიყვანეს ვინც-კი შეიპყრეს და უმოწყალოდ გაჟლიტეს. სპარსი ისტორიკოსის შარაფ ად-დინის ცნობით „ბევრი სისხლისაგან, რომელიც შარიათის ნათელი გადაწყვეტილებით შურისძიების მიწაზე დაანთხიეს, მიწის ზედაპირი ლალის ფერად შეიღება და გვამთა სიმრავლისაგან, რომელიც ერთმანეთზე ეყარა ლეშად, ველი კიდით კიდამდე მთად გადაიქცა, კალთებზე კი სისხლის ნაკადულები მოედინებოდა“.

ასე გააპარტახა და უკაცრიელ ქმნა მტერმა ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულუ ხეობა.

თემურმა გიორგი მეფე მაინც ვერ შეიპყრო. ისტორიკოს აბდ არ-რაზაყ სამარყანდის ცნობით, ძამის ციხე თემურმა აიღო, მაგრამ „გიორგი კი სავანეთისაკენ გაიქცა და უკან ლაშქარი დაადევნა“.

იგივეზე მიუთითებს შარაფ ად-დინი. მისი თქმით,სარწმუნო ცნობა გაჩენილა, რომ გიორგი სავანეთად წოდებულ ადგილას არისო. სხვა ისტორიკოსები ასახელებენ სავანეთის ციხეს, რომელიც საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყო ძამის ციხიდან.

პროფ. კ. ტაბატაძე აღნიშნავს: „სავანეთის ციხე, რომელიც თანამედროვე ტოპონიმთა შორის ზემო ქართლის მიდამოებში აღარ ჩანს, უნდა ყოფილიყო ძამის ციხის დასავლეთით. საქმე ისაა, რომ თემურის ლაშქარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიიწევდა და სავანეთის ციხე მის მიერ უკვე მოთარეშებულ ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ იგი ამერეთ-იმერეთის საზღვარზე იყო, იმერეთში მიმავალ გზასთან, სადაც ძლიერი ციხის არსებობა აუცილებელი იყო გზის დასაცავადაც. ამას გარდა, თემურის მიერ ამ ციხის დაპყრობის შემდეგ გიორგი გადადის დასავლეთ საქართველოში, რაც აგრეთვე იმაზე მიუთითებს, რომ სავანეთის ციხე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე იყო. სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია შიგ იგულისხმებოდეს ლიხის მთის ფერდობზე არსებული ის ადგილი, რომელსაც დღეს „სავანისუბანი“ ჰქვია“.

გიორგი მეფის ადგილსამყოფელის გაგებისთანავე, თემური პირადად გაუძღვა ლაშქრის ერთ ნაწილს სავანეთისაკენ. მეორე ნაწილი კი ისევ ძამის ხეობაში დატოვა. თემურმა ადვილად აიღო სავანეთის ციხე. გიორგი მეფემ თავისი მხედრობით გაარღვია ალყა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თემურმა მას მდევრები დაადევნა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და უკან მობრუნდნენ. ამის შემდეგ თემურმა სამცხეში გაილაშქრა, აქაც მოაოხრა ყველაფერი, უკან გამობრუნდა და არაგვის ხეობას შეესია.

ყურადღებას იქცევს სავანეთის საკითხი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პროფ. კ. ტაბატაძე მას ზემო ქართლში მოიაზრებს და დღევანდელ სავანისუბანზე მიგვანიშნებს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტოპონიმი გვიანდელია. სავანისუბანი ისტორიულად სოფელ ტეზრის ერთ-ერთი უბანია. აქ, XVIII საუკუნეში სავანლების დამკვიდრების შემდეგ გაჩნდა ტოპონიმი „სავანლის ტეზერი“. ეს ტოპონიმი არსებობას აგრძელებს XX საუკუნის 30-40-იან წლებშიც და ამის შემდეგ მკვიდრდება ტოპონიმი „სავანისუბანი“. ამდენად თემურ-ლენგის შემოსევების დროს აქ სავანეთი გამორიცხულია. ისიც უნდა შევნიშნოთ,რომ მკვლევარს ამას აფიქრებინეს დღევანდელი სვანისუბნის ახლოს ციხისძირის (დღევანდელი ბულბულისციხე) ციხის არსებობა და აქედან დასავლეთ საქართველოში გადასავლელი გზის არსებობა.

ქართული სინამდვილე რამდენიმე სავანეთს იცნობს, ან ისეთ ტოპონიმს, სავანე რომ უდევს საფუძვლად.

სავანეთი (სავანე) გვაქვს საჩხერის რაიონში, სავანისუბანი ხაშურის რაიონში. სავანის ხევის სახელწოდებით ცნობილი ხევია ბორჯომის რაიონში, ახალდაბასთან ახლოს, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. აქვე დადასტურებულია ნასოფლარი სავანეთი.

სავანეთი გვხვდება ისტორიულ საბუთებშიც. კერძოდ, სვიმონ მეფის 1592 წელს სვეტიცხოვლისადმი მიცემულ განახლების სიგელის მიხედვით სავანეთი ფიქსირდება დღევანდელი კასპის სიახლოვეს, ასევე სამცხეში, არტანუჯის სიახლოვეს. 1599 წელს, სვიმონ მეფის მიერ, სვეტიცხოველისადმი მიცემული შეწირულობის განახლების სიგელიდან ჩანს, რომ კასპთან ახლოს მდებარე სავანეთი ნასოფლარია. კასპის სავანეთი გვხვდება ლუარსაბ მეფის 1536-1540 წლებით დათარიღებულ კათალიკოსისა და წილკნელის დავის განჩინების წიგნში.

სავანეთის საკითხს ეხება პროფ. დ. კაციტაძეც. იგი აღნიშნავს, რომ ზოვრეთის ციხის (კ. ტაბატაძე ძამის ციხეზე მიუთითებს) აღების შემდეგ, თემურს აცნობეს, რომ „...გიორგი მეფე სავანეთის სახელით ცნობილ ადგილას არისო. თემურმა გიორგის შესაპყრობად ლაშქარი გააგზავნა, მაგრამ გიორგი ამჯერადაც ხელიდან გაუსხლტა მას. იგი დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი) გადავიდა. თემურის მეომრებმა სავანეთის ციხე დაიპყრეს და მას გაეკიდნენ. ვისაც კი მიეწივნენ, დახოცეს. სპარსელი და სპარსულენოვანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ გიორგი მეფემ მდ. იღირი და კვირილა (ყვირილა) გადაიარა და სამშვიდობოს გავიდაო“.

როდესაც მკვლევარი საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების ლოკალიზაციის საკითხებს ეხება, სამართლიანად მიუთითებს, რომ „... ავტორები თუ გადამწერები ისე ამახინჯებენ ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის ან მხარის სახელს, რომ მკვლევარს ამოცნობა ძალზე უჭირს“.

დ. კაციტაძე ამ კონტექსტში ეხება სავანეთის საკითხს და წერს: „საინტერესოა რას გულისხმობენ ავტორები სავანეთის ქვეშ? სავანეთის შესახებ აკად. მ. ბროსე წერდა: სავანეთში სვანეთი ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ? მაგრამ სპარსულ ენაზე არსებული წყაროების კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ამბავი ქართლში ხდება და სვანეთი აქ არაფერ შუაშია. ეს სავანეთი უნდა ქართლში ვეძებოთ. ქართლში მართლაც არის სოფ. სავანეთი. შეიძლება ესაა ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიული სახელი’’.

მკვლევარი თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუთითებს: „XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს ხშირად მხოლოდ აფხაზეთად და სვანეთად იხსენიებენ... მაგრამ ამ შემთხვევაში რომ სავანეთი დასავლეთ საქართველოს არ ნიშნავს, იქიდანაც ჩანს, რომ სავანეთიდან გიორგი მეფე აფხაზეთში, ე.ი. დასავლეთ საქართველოში, გადადის“ .

უნდა შევნიშნოთ, რომ დ. კაციტაძე არ აკონკრეტებს სავანეთის ადგილ-მდებარეობას, შემოიფარგლება ქართლით და იმოწმებს თ. ჟორდანიას. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომში 1392 წლის ქვეშ შეტანილი აქვს „სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა“. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სვიმონ მეფის მიერ 1592 წლის სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის განახლების ზემოთ მოტანილ სიგელს, რომელის მიხედვითაც ერთი სავანეთი არტანუჯშია, ხოლო მეორე კასპის სიახლოვეს.

„ქრონიკების“ აღნიშნულ ტომში 1529-1530 წლების ქვეშ შეტანილ საბუთში კოდმანთან ფიქსირდება სავანეთის მთა.

ამ შემთხვევაშიც სავანეთის მთა გეოგრაფიულად შორს არის იმ სავანეთიდან, სადაც თემურ-ლენგის მიერ წარგზავნილმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა გიორგი მეფეს.

პროფ. კ. ტაბატაძე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამბობს, რომ სავანეთი და მისი ციხე ძამის ციხის დასავლეთით უნდა ყოფილი, რადგან თემურის ლაშქარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობდა და მის მიერ უკვე მოთარეშებულ ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა. თუ გავითვალიწინებთ მკვლევარის ამ მოსაზრებას,უნდა გამოვრიცხოთ კასპის სავანეთი იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს გზა უკვე გამოვლილია. ასევე უნდა გამოირიცხოს საჩხერის სავანეთი, რადგან ამ ლაშქრობის დროს არ დასტურდება თემურის საჩხერისაკენ მოძრაობა. უნდა გამოირიცხოს ხაშურის სავანისუბანიც, რადგან იგი გვიანდელი ტოპონიმია და ტეზრის სახელწოდებითაა ამ დროს ცნობილი. ასევე უნდა გამოვრიცხოთ არტანუჯთან ახლოს მდებარე სავანეთი, რომელიც საკმაოდ შორს არის საომარი მოქმედების არეალიდან.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ინფრასტრუქტურული პროექტები -

ხაშურში, ტურისტული ცენტრის მიმდებარედ, სკვერის მოწყობა მიმდინარეობს



პროექტის ფარგლებში,დამონტაჟდა თანამედროვე სტილის გარე განათებები,იგება დეკორატიული ფილები, ირგვება მცენარეები, იქნება დასასვენებელი სკამები.

მოსაცდელთან კეთდება ხაშურის ტურისტული რუკა.

„აღნიშნული სივრცე, ქალაქის შემოსასვლელში მდებარეობს, ამიტომ მისი კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, როგორც ვიზუალური ეფექტის თვალსაზრისით,ასევე გართობისა და დასვენებისთვის.“აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის მოადგილე ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება174 500 ლარს შეადგენს.



ხაშურში, პუშკინის ქუჩაზე, უკვე დაწყებულია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

„აღნიშნული სამუშაოები, რამდენიმე ლოკაციაზე, პარალელურად განხორციელდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია კი დააპროექტებს ქუჩებს და იქ, სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ასფალტის საფარს ეტაპობრივად დააგებს.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შედეგად, 24 000 ბენეფიციარი ისარგებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 24 საათიანი წყალმომარაგებით.

ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის პროექტს,საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია "JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S." ახორციელებენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფრუიძე სარაგბო ფესტივალს დაესწრნენ

11 , 13, 15 წლამდე ჭაბუკებს შორის სარაგბო ფესტივალი ხაშურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის რაგბის გუნდ "სურამის მგლების" 10 წლის საიუბილეო თარიღთან დაგავშირებით გაიმართა.

„სურამის მგლებთან“ ერთად ფესტივალში მონაწილეობდნენ გუნდები: „ლეგიონი“,„წიქარა“,„ავჭალა“,„ლაშარი“,„ადიგენი“,„ბორჯომი“,„თუშები“, „აია".

ღონისძება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის, კომპლექსური სასპორტო სკოლის მხარდაჭერით ჩატარდა.

„ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. დღევანდელი რაგბის ფესტივალიც ამ მიზანს ემსახურება. წარმატებას ვუსურვებ ყველა მონაწილეს. მუნიციპალიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, მომავალშიც გააგრძელებს სპორტის მხარდაჭერას“ - განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერი ყვავილებით ფერადდება

პროცესებს ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ხელმძღვანელობს.

მათივე განმარტებით, მუნიციპალიტეტის სკვერებსა და პარკებში, ყვავილების დარგვა ინტენსიურად გაგრძელდება.

რეპორტაჟი ქობულეთიდან, ბიგ-რაუნდის ფინალური თამაშიდან

გამარჯვებული გუნდის ემოციები....

ეს იყო საუკეთესო... ოვაციები, შეძახილები, გამარჯვების ტაში...

ჩემი მოკრძალებული თხოვნა: -ასე ვერ გავიგებ, რთულია, მაგრამ ცალ-ცალკე გაგვანდეთ ემოციები....

დაიწყე ნინი... თხოვენ გუნდის ერთ-ერთ წევრს. ნინისაც მუდარა არ სჭირდება, მყისიერად იწყებს.

ნინი გიგაშვილი, მე-3 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი:

- ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, ორწლიანი შრომის შემდეგ, დადგა გამარჯვებაც და ძალიან მიხარია!

ომარ პაპუაშვილი, მე-3 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი:

- ბოლომდე მჯეროდა, დარწმუნებული ვიყავი, ვიცოდი რომ მოვიგებდით, არ გამიხარდა, იმიტომ, რომ ვიცოდი მოვიგებდით.

- **რა გაძლევდა ამის საფუძველს?**

- ჩემს გუნდში ვიყავი დარწმუნებული.

მარიამ ლომიძე, მე-3 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი:

- ჩემს დღიურში მქონდა ჩამოწერილი სია აქტივობების, რაც მინდოდა, რომ ამ წელს გამეკეთებინა და მიმეღწია, ერთ-ერთი იყო ბიგ რაუნდის მოგება და ძალიან მიხარია, რომ როდესაც სახლში დავბრუნდები გადავხაზავ ამ აქტივობას ნიშნად შესრულებისა.

არჩილ ჩაჩანიძე, მე-3 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი:

- შრომა ყოველთვის დაფასდება!

ტატო ჩადუნელი მე-3 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი:

- უბრალოდ შევძელით!

ნიკოლოზ ჩაჩანიძე, მე-3 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი:

- ძალიან გამიხარდა, ორი წელია აქ ვართ ფინალურ თამაშებზე და მოვიგეთ!

- **მოგება გაგიჭირდათ?**

- კი,იმიტომ, რომ კარგი, ძლიერი კონკურენტები გვყავდნენ, ძალიან ძლიერები, და ამავე დროს დებიუტანტები არიან. საინტერესო კითხვები იყო.

თორნიკე გოგალაძე, მე-3 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი:

- მე ვფიქრობ, ორწლიანი შრომა დაგვიფასდა, ეს მუხლჩაუხრელი შრომის, ყოველდღიური ვარჯიშების შედეგია. მიმაჩნია, რომ ძალიან მაგარი გუნდი ვართ, ძალიან მაგარი კონკურენტებით, რომლებმაც კიდევ უფრო მეტად გვასწავლეს, როგორ უნდა გვეთამაშა. რა თქმა უნდა ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ასეთი თამაშისათვის, ასეთი ახალგაზრდები რომ გავიცანი, და გარდა ამისა ასეთი შესაძლებლობები რომ მომცა ინტელექტუალურად განვითარებისათვის. დიდი მადლობა ყველას!

ბიგ-რაუნდის გამარჯვებული გუნდის წევრია თიკო მურჯიკნელი, მე-3 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი და აქვე მინდა გაგაცნოთ ჩვენი საუკეთესო გულშემატკივარი, რომელიც ამ დრომდე ამერიკაში იყო, მაგრამ ვირტუალურად ყოველთვის გვეხმარებოდა, მარიამ ქურდაძე, მე-3 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი.

საინტერესო და დაძაბული ფინალური თამაშის დასრულების შემდეგ, რომელმაც გამარჯვებული გუნდი გამოავლინა, ინტერვიუ ვთხოვეთ მესამე ადგილის მფლობელ, შარშანდელი სეზონის ჩემპიონი მე-7 საჯარო სკოლის გუნდის გულშემატკივარ პედაგოგს ნანა გელაშვილს:

- ამ თამაშის გამარჯვება ის არის, რომ, ძალიან დავმეგობრდით, ჩვენ ორი წელია ერთდა ვთამაშობთ და დღეს თუ რამე ძალიან გამახარებდა ჩემი ბავშვების გამარჯვების შემდეგ, ეს არის ამ ბავშვების გამარჯვება, იმიტომ, რომ მათ ძალიან ბევრი იშრომეს ამ წარმატების მისაღწევად. მიყვარს ყველა და სულ წარმატებებს გისურვებთ თქვენი ნანა მასწავლებელი!.. მიხარია, რომ ასეთი კარგი ახალგაზრდები გავიცანი.

ინტერვიუ და მოციების გაზიარება ვთხოვეთ მეორე ადგილზე გასული, ქვიშხეთის საჯარო სკოლის დებიუტანტ გუნდს, რომელსაც თამაშის ორგანიზატორებმა „გუნდი აღმოჩენა“ უწოდეს. დაძაბულ, ღირსეულ ბრძოლაში დამარცხება მათთვის არც თუ მარტივი აღმოჩნდა და ინტერვიუზე დათანხმებაც რთული გამოდგა. დავით ხაჩიძე, ქვიშხეთის საჯარო სკოლა, მე-12 კლასი:

- ნუ, რაც იყო, იყო, არ გამოვიდა. ვეცადეთ, აქამდე მოვედით, ეგეც კარგია, მაგრამ... გამარჯვება კარგი იქნებოდა ნამდვილად, არ გამოვიდა. თამაში საინტერესო იყო, ნამდვილად მივიღეთ ძალიან დიდი სიამოვნება, მადლობა პირველ რიგში, ტურნირის ორგანიზატორებს, თამაშის ჩატარებისთვის, ყველაფრის ასეთი კარგი ორგანიზებისათვის.

ინტერვიუზე ხალისით დაგვეთანხმა მესამე ადგილზე გასული, ფინალური თამაშის მონაწილე, **ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის გუნდის კაპიტანი პაპუნა მაღრაძე, მე-12 კლასი:**

- 1 ქულა დაკვაკლდა, მაგრამ არასოდეს არ ვიტყვი, რომ ეს იყო გამართლება, პირიქით. ამ ბავშვებმა შედეგი დადეს ყოველდღიური ვარჯიშის შედეგად. გასულ წელს ჩვენც ასე ვვარჯიშობდით, ინტენსიური ვარჯიშები გვქონდა, ამიტომაც წინა წელს გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ წარმატებას. ეს გამრჯვება მათთვის შემთხვევითი არ იყო, ბავშვებმა იშრომეს, ივარჯიშეს და გაიმარჯვეს.

- **რთული იყო თამაში, კონკურენტებზე რას იტყვი?**

- ძლიერი კონკურენტები გვყავდა. განსაკუთრებით აღვნიშნავ ქვიშხეთის სკოლას, თავიდანვე გამოირჩეოდა მათი აქტიურობა, ასევე მესამე სკოლაც და მოსალოდნელი იყო, რომ წარმატებებსაც მიაღწევდნენ. წელსაც დიდი კონკურენცია იყო გასული წლის მსგავსად. მოხარული ვარ, რომ მინიმუმ ფინალში გასვლა შევშძელით.

და ბოლოს ბიგ-რაუნდის სულისჩამდგმელი, თამაშის ორგანიზატორი, თამაშის წამყვანი ბესიკ გაჩეჩილაძე, რომელსაც ინტერვიუზე დათანხმებისთვის, განსაკუთრებით, ასეთი ემოციებით დატვირთულ დღეს, დიდი თხოვნა სულაც არ სჭირდება.

- დასრულდა 2022 -2023 წლების ინტელეტუალური თამაში ბიგ-რაუნდი, რომელსაც ჰყავს ღირსეული ჩემპიონი. ეს გახლავთ ხაშურის მესამე საჯარო სკოლა. ზოგადად, მოკლე მიმოხილვას გავაკეთებ, რომ წელს მონაწილეობას ღებულობდა 20 სკოლა და ძალიან კარგი ბავშვები იყვნენ, ძალიან დიდი კონკურენცია იყო, ბევრი კარგი სკოლა დარჩა ფინალს მიღმა, რომელთაც ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვთ. იმიტომ, რომ ძალიან კარგი მოთამაშეები არიან. ფინალში მოხვდნენ ღირსეული წარმომადგენლები, განსაკუთრებულები განსაკუთრებულებს შორის. ეს გახლავთ შარშანდელი ჩემპიონი მეშვიდე საჯარო სკოლა, წლევანდელი ტურნირის აღმოჩენა ქვიშხეთის საჯარო სკოლა და წლევანდელი გამარჯვებული მესამე საჯარო სკოლა. მადლობა მათ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მივულოცავ კიდევ და კიდევ ჩემპიონებს, ქვიშხეთის სკოლას და მეშვიდე საჯარო სკოლას.

- **თამაშის მონაწილეები ამბობენ, რომ არ იყო მარტივი გამარჯვება და კითხვების საკმაოდ რთული იყო.**

- რთული კითხვები იყო, კი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დონის კითხვები არა თუ სკოლის მოსწავლეებში, არამედ სხვადასხვა ლიგებშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგრამ გასაოცარია და სასიხარულოა, რომ ბავშვები კითხვებს თავს ართმევენ წარმატებით და ნახეთ რომ 50 პროცენტი აიღეს ბავშვებმა ამ კითხვებიუდან და ვერსიებიც ჰქონდათ. სასიხარულოა, რომ თავისუფალი აზროვნების უნარიანი თაობა მოდის და მაღალი არაფორმალური განათლება აქვთ.

შტრიხები ბიგ-რაუნდის ისტორიიდან. კულტურის სამსახურის სპეციალისტი ბესიკ გაჩეჩილაძე იმთავითვე ბიგ-რაუნდის ორგანიზატორი და წამყვანია.

- ასეთი ტიპის ტურნირს „შესანიშნავ შვიდეულს“ ხაშურში ატარებდა გოგი გოგალაძე, რედაქცია, ტელევიზია. თამაში თავიდანვე იყო ასეთივე სპორტული, ინტელექტუალური, „რა, სად, როდის“ ტიპის. როდესაც ტელევიზია ქალაქში აღარ ფუნქციონირებდა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, თამაში დროებით შეწყდა და განახლდა 2011 წელს კულტურის სამსახურის მიერ, რაშიც ლომის წვლილი მიუძღვის იმდროინდელ კულტურის სამსახურის უფროსს მანანა ჯაფარიძეს. თამაში განახლდა ჩემი ორგანიზებით.

- **თამაშის პირველი ჩემპიონი თუ გახსოვთ?**

- კი, როგორ არა! პირველ ეტაპზე თამაში იყო მიახლოებული კლასიკურ ტიპთან, ერთ გუნდს ვეთამაშებოდით და ქულების დაანგარიშების სხვა სისიტემა იყო. მაშინ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა იყო პირველი გამარჯვებული. გუნდი იყო მართლაც უნიკალური, რომელიც შემდეგ საქართველოს ჩემპიონი გახდა სპორტულ „რა, სად, როდის-ში?“ სკოლებს შორის. ძალიან ძლიერი ბავშვები იყვნენ, განსაკუთრებით სოსო ბარბაქაძე, რომელიც ბრწყინავდა და არა მარტო ის, მთლიანად გუნდი იყო განსაკუთრებული. მხოლოდ და მხოლოდ პანდემიის პერიოდში გავჩერდით. 2020 ში დავიწყეთ, რამოდემინე ტური ჩავტარეთ და სრული ლოქდაუნის დროს გავჩერდით... და შარშან ისევ გავაგრძელეთ.

- **ბატონო ბესიკ, თქვენ ყურადღება გაამახვილეთ და მეც და გკითხავთ ქვიშხეთის სკოლის გუნდზე, რომელსაც აღმოჩენა“ უწოდეთ...**

- ძალიან მიხარია, რომ ფინალისტებს შორისაა სკოლა, რომელმაც გაოცება გამოიწვია. ეს ბავშვები მოვიდნენ, დასხდნენ, და არამარტო ფინალით, არამედ მათი თამაშით ვარ აღფრთოვანებული. ეს გუნდი მესამე სკოლასთან ერთად, ერთ-ერთი სტაბილური გუნდი გახლდათ, რომელიც თავის ასაღებ კითხვებს ყოველთვის იღებდა და თავის დასაგროვებელ ქულებს ყოველთვის აგროვებდა, ყოველთვის იყო ლიდერებში და არასოდეს ემუქრებოდა გავარდნის საშიშროება და მერე, როდესაც დაგროვებით სისიტემაზე გადავედით, მათ შრომით და ნიჭიერებით მოაგროვეს სამეულში გადასასვლელი ქულები და აგერ პირველობისთვის არ გვეყო ძირითადი კითხვები და დამატებითში , მაინც ამ ხნის გამოცდილებამ, სადღაც გადაძალა და მესამე დამატებით კითხვაზე დაუთმო პირველობა მესამე სკოლას. დაამარცხა ისეთი ძლიერი სკოლები, როგორიც გახლდათ ერთ-ერთი ფავორიტი, ოსიაურის სკოლა. ქვიშხეთის საჯარო სკოლასთან ერთად, მინდა ყურადღება გავამახვილო, პირველ საჯარო სკოლაზეც, ასევე აღმოჩენები არიან, მაგრამ ასაკით ძალიან პატარები არიან და ნახევარფინალური ეტაპის ბოლო ტურში საოცრება მოახდინეს, პირველი შვიდი კითხვა აიღეს. ერთი ნაბიჯი დააკლდათ ფინალამდე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი მათია და ქვიშხეთთან ერთად საოცრებას მოახდენენ.

თამაშის მონაწილე სამივე გუნდს ბიგ-რაუნდის ორგანიზატორებისა და ჟიურის წევრებისაგან საჩუქრები გადაეცათ.

თეა ახალკაცი, ქობულეთი - ხაშური

ხაშურმა საბავშვო წიგნის ფესტივალს - „ასფურცელას“ უმასპინძლა

საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებს მასპინძლობდნენ გამომცემლობები: „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა “, „მანდარინი“, „მახარობელი“. აქვე

გაიმართა წიგნების გამოფენა-გაყიდვა მნიშვნელოვანი ფასდაკლებით.

მთელი დღის განმავლობაში პატარა მკითხველებს ხვდებვოდნენ საბავშვო მწერლები: ირმა მალაციძე, მურად მთვარელიძე, კლარა გელაშვილი, მარიამ წიკლაური, ნანიკო ბურდული, გივი ჩიღვინაძე, მარიამ გახელაძე, ნატო დავითაშვილი, ლელა გაბური, ლილი ალფაიძე, თეა თოფურია, ნინო ლომიძე, ნათია ჯანაშია.

საფესტივალო პროგრამა შემდეგი იყო:

ფესტივალის გახსნა; საბავშვო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა;

საბავშვო მწერლების შეხვედრა მკითხველებთან ბიბლიოთეკებში (სურამი, მინის ტარის დასახლება, ცხრამუხა, ხაშურის ამერიკული კუთხე/საბავშვო ბიბლიოთეკა)

საბავშვო მწერლების შეხვედრა ბავშვებთან დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში;

თოჯინების თეატრის წარმოდგენა - ირმა მალაციძე „სატკბილეთის ქვეყანა“ ანიმატორების შოუ/კოსტუმირებული პერფორმანსი.

წიგნის ფესტივალ „ასფურცელას“ ფარგლებში, საბავშვო მწერლები და მხატვარ-ილუსტრატორები პატარა მკითხველებსაც შეხვდნენ.

შეხვედრები სურამის, შუშის ქარხნის დასახლების და ცხრამუხის ბიბლიოთეკებში გაიმართა.

სტუმრებმა პატარა მკითხველებს საკუთარი ნაწარმოებები გააცნეს და ილუსტრაციების შექმნის ხელოვნება გაუზიარეს.

შეხვედრებს მხიარული და საინტერესო დისკუსიის სახე ჰქონდა.

პატარა მკითხველებს სურამის ბიბლიოთეკაში ხვდებოდნენ მარიამ წიკლაური,ნინო ლომიძე, ნატო დავითაშვილი, ლალი ალფაიძე და მხატვარი ნანიკო ბურდული;

შუშის ქარხნის დასახლების ბიბლიოთეკაში მკითხველებს შეხვდნენ გივი ჩიღვინაძე, თეა თოფურია, თამარ გეგეშიძე და ლელა გაბური.

ცხრამუხელ მკითხველს კი შესაძლებლობა ჰქონდა გასაუბრებოდა ირმა მალაციძეს, მთარგმნელ მარიამ გახელაძეს, მხატვარ-ილუსტრატორ ივეტა ჩხიკვაძეს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიბლიოთეკის ხელძღვანელ ქეთევან კალანდიას.

ფესტივალ „ასფურცელას“ დასასრულს, დიმიტრი ყიფიანის სკვერში შეკრებილ მკითხველებს მიესალმნენ ავტორები: ირმა მალაციძე,მურად მთვარელიძე,მარიამ წიკლაური,ნატო დავითაშვილი,ნანიკო ბურდული. დიმიტრი ყიფიანის სკვერში შეკრებილ აუდიტორიას შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

პატარებს ხაშურის თოჯინების თეატრმა წარმოუდგინა ირმა მალაციძის სპექტაკლი „სატკბილეთის ქვეყანა“. ფესტივალი ანიმატორების პერფორმანსით დასრულდა.

ფესტივალი „ასფურცელა“ ხშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების და კულტურის ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით მოეწყო.

- მუსიკა -

ახალგაზრდა ხელოვანის პირველი სოლო - კონცერტი

13 ივნისს ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დემეტრე გელაშვილის სოლო კონცერტი (პედაგოგი - ფატი სადაღაშვილი, კონცერტმაისტერი - თამაზ აბრამიძე, ელა ნოზაძე) კონცერტს უძღვებოდა - თეა ტატიშვილი.

დემეტრემ წელს დაამთავრა სკოლის ექვსწლიანი კურსი და შემაჯამებელი კონცერტი ორი განხრით შემოგვთავაზა, როგორც ვიოლინოს კლასით, ასევე საფორტეპიანო.

დემეტრე აქტიურად იყო ჩართული, როგორც სამუსიკო სკოლის ცხოვრებაში, აგრეთვე საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებზე.

კნცერტში ასევე მონაწილეობა მიიღო მევიოლინეთა ანსამბლმა, რომელმაც დააგვირგვინა ეს სასიამოვნო საღამო.

ვულოცავთ დემეტრეს ამ წარმატებას და გვჯერა, მისი სახით დიდი ხელოვანი ეზრდება ჩვენს ქალაქს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.